საქართველოს კომუნისტური პარტია (ბალშევიკებისა.)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

# კომუნისტი

ხუთშაბათი, 4 ნოემბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 200 მან.

ფასი 10 მან.

№ 85 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 85

## ორი ძალა

მშვიდობიან დროს საზოგადოების მთლიანობა უფრო ნათლათ ჩანს ზერელე მაყურებლისათვის, ვიდრე მასში არსებული წინააღმდეგობანი. პირიქით, რევოლიუციის დროს ირღვევა ეს მოჩვენებული მთლიანობა და წინ გამოდის მოწინააღმდეგე ძალების აშკარა ბრძოლა. რევოლიუცია ცალ-ცალკე ბანაკებათ რაზმავს საზოგადოების მოწინააღმდეგე ნაწილებს, ახეთქებს მათ ერთმანეთს და მათი ბრძოლის შედეგს აძლევს მომავალ ისტორიულ ეპოქას ახალი წონასწორობის შესაქმნელათ და პროგრესის გზის გასაგრძელებლათ.

რევოლიუციონური პარტია მუდამ ცდაშია, რომ გაურკვიოს მშრომელი ხალხის ფართო მასსას მისი განსაკუთრებული მდგომარეობა და ინტერესები არსებულ საზოგადოებაში. ის ხაზს უსვამს კლასობრივ წინააღმდეგობებს, წინ აყენებს კლასობრივ ინტერესებს და საბოლოვოთ იმ მიზანს ემსახურება, რომ მშრომელმა ხალხმა, პროლეტარიატმა შეიგნოს, იცნოს თავის თავი, როგორც ერთმა კლასმა, სხვა საზოგადოებრივი კლასებიდან გამოთიშულმა. პროლეტარიატი უპირდაპირდება სხვა კლასებს, როგორც მტერი. ამიტომ მას ბრძოლა მართებს მათთან და არა შერიგება.

დღევა მომენტი (და ამ ჟამათ ჩვენ სწორეთ ამ დიად ხანას განვიცდით), როდესაც ეს ბრძოლა, უკეთ პრაქტიკულათ დაწყებული და წარმოებული, გაალმასებულ ხასიათს იღებს. ასეთ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს იმის შეგნებას, რომ სწარმოებს სამკვდრო-სასიცოცხლო ომი ორ მოწინააღმდეგე ძალას შორის და ამ ომის ბედი სწყვეტს მთელი ხალხის, მთელი ქვეყნის, მთელი კაცობრიობის ბედს. ასეთი შეგნება აფხიზლებს და ბრძოლაში ითრევს აქამდი განზე მდგომ პასიურ ელემენტებს და მით რევოლიუციას ახალ ძალებს მატებს.

თავისთავათ ცხადია აქედან, თუ ჩვენს პროპაგანდა-აგიტაციაში რატომ უჭირავს ასე დიდი ადგილი ხსენებულ იდეას ორი ძალის, ორი მოსისხლე მტრის, ორი შეურიგებელი კლასის შესახებ. აქედანვე გასაგებია ისიც, თუ რატომ ცდილობს მოწინააღმდეგე ამ იდეის მიფუჩეჩებას, ეროვნული ინტერესებით კლასთა ბრძოლის მიჩქმალვას, დემოკრატიული და მესამე ძალების წამოყენებით ორ მართლა მნიშვნელოვან კლასების დამცირებას.

მაგრამ ბრძოლა გრძელდება და ის ნაწილობრივათ აღწევს ხან დიდ და ხან მცირე გამარჯვებას. და ამ გამარჯვების უტყუარი მაჩვენებელია, როდესაც მტერი სცნობს ჩვენს ამა თუ იმ დებულებას. ეს კარგი ნიშანია მოპირდაპირე ბანაკის დაუძლურებათ დაშლისა, მისი იდეური გაკოტრებისა. მტრის აღსარებას ხშირათ მეტი წონა და მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ჩვენს აგიტაციას.

ერთი ასეთი აღსარება გააკეთა ნ. ჟორდანიამ გვარდიის ყრილობაზე. მან აღიარა, რომ დღეს ერთმანეთს უპირდაპირდება ორი ქვეყანა: „ერთია ევროპა და მეორეა ბალშევიკური რუსეთი და რამოდენიმეთ ზოგი აზიური ხალხები და სახელმწიფოები“. ნ. ჟორდანია დიდი ხანია გადაეჩვია მარქსისტულათ აზრის გამოთქმის და ის ბუნდოვანათ ლაპარაკობს რაღაც გეოგრაფიულ ტერიტორიებზე და ამის მსგავს ცნებებზე: „ევროპაზე“, „აზიურ ხალხებზე“, „სახელმწიფოებებზე“. მაგრამ ყველა მიხვდება, რომ ამ ბურუსით მოცული სიტყვებით შემდეგი ნათელი დებულებაა: „დღეს ერთმანეთს უპირდაპირდება ორი ქვეყანა; ერთ ერთ მხარეს დგას მთელი ქვეყნის პროლეტარიატი კომუნისტების მეთაურობით და მეორე მხარეს კი მთელი ქვეყნის ბურჟუაზია იმპერიალისტების ხელმძღვანელობით“.

ამ აზრს ჟორდანია ლაპარაკობს თავისიანებში, მაგრამ ამით აგიტაციას უწევს მთელ თავის აუდიტორიას. დიდმნიშვნელოვანია ამ აზრის წამოცდენა ჩვენი მტრის პირიდან და ის დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენს მუშაკებს ყოველდღიურ პროპაგანდა-აგიტაციის საქმეში. დიახ, ორი ძალა, და არც მეტი, სდგას ერთი მეორის პირდაპირ და მთელი ქვეყნის, მთელი მომავლის ბედს მათი ბრძოლის შედეგი სწყვეტს. სად არის ამ დროს, ბარიკადის რომელ მხარეს სდგას მენშევიკების მიერ ხელმძღვანელი „ქართველი დემოკრატია“?

ეს დემოკრატია საკმაოთ გამოაყეყეჩეს ქართველმა მენშევიკებმა იმის მტკიცებით, რომ რუსეთში მებრძოლი ძალები—ლენინი და დენიკინი, ლენინი და ვრანგელი, რევოლიუცია და კონტრ-რევოლიუცია არსებითათ ერთი და იგივე ძალებია. ამაზე სწერდენ და ლაპარაკობდენ, რეზოლიუციებს სთხზავდენ მენშევიკები სამი წლის განმავლობაში. ჩვენთვის, რასაკვირველია, მხოლოთ სასაცილო იყო ამის მტკიცება, რომელიც იმას გავს, რომ რუსეთის მოპირდაპირე ძალები მართლა კი არ ებრძვიან ერთმანეთს, მხოლოთ ხუმრობენ, ფარიკაობენ, ქართველ მენშევიკების გრძნობას ართობენ და მათ ჭკუას ავარჯიშებენ მხოლოთ.

ახლა ნ. ჟორდანია არჩევანს ახდენს ვრანგელისა და ბალშევიკებს შუა და სერიოზულათ ამტკიცებს (!) რომ „რუსეთში რეაქციის, ვრანგელის გამარჯვება არის რეაქციის გამარჯვება არა მარტო ბალშევიკებზე, არამედ ჩვენზედაც. ვრანგელი მოსკოვში—ნიშნავს ვრანგელი თბილისში. ეს უნდა იცოდენ ჩვენმა ამხანაგებმა, უნდა იცოდენ ყველამ და ამ პოზიციას არ უნდა გადავცდეთ“.

ამ „ამხანაგებმა“ აქამდე სულ სხვანაირათ იცოდნენ ვრანგელის მნიშვნელობა იმავე მენშევიკების პირით და ბალშევიზმის დიდ გამარჯვებათ უნდა ჩაითვალოს, რომ ისინი იძულებული არიან საქვეყნოთ აღიარონ სულ წინააღმდეგი დებულება. ამ ჟამათ სამწუხაროთ მიაჩნია ნ. ჟორდანიას ის გარემოება, რომ, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ჩვენში ასეთები (ვრანგელის მოტრფიალენი) ბევრნი არიან“.

ნ. ჟორდანია თავს იმ ტყუილი იმედით ინუგეშებს, რომ „შეიძლება ისინი არ იყვნენ ჩვენს პარტიაშიო“. რა თქმა უნდა, ეს სრულიათ არ შეეფერება სინამდვილეს: სწორეთ მათი პარტიაა სავსე ისეთი დიდი და პატარა „მოღვაწეებით“, რომლებიც ბალშევიზმის შიშით „ვრანგელსაც ეარშიყებიან“ და მის ევროპიელ მოკავშირეებსაც.

მაგრამ ამ ხანათ ასეთი კილოთი ლაპარაკი მთავრობის თავმჯდომარისა აშკარათ მოწმობს, რომ საქართველოშიაც გზა გაიკაფა ისტორიულათ მოქიშპე ორი ძალის დაპირდაპირების იდეამ. ორი და არა მეტი, პროლეტარიატი და ბურჟუაზია, მათი ბრძოლა და არა სხვა რამე ავსებს მთელი თანამედროვე ცხოვრების შინაარსს და გზას უკაფავს ერთათ-ერთ შესაძლებელ მომავალს.

## ჩვენი პარტია

(სადისკურიოთ ამხ. ამხ. ბახტიარის და გადამთიელის წერილების გამო)

**ჯერ მიზეზი, შემდეგ გზა.**

არ შემიძლია სიხარული არ გამოვთქვა იმ ამბის გამო რასაც ადგილი აქვს დღეს ჩვენს გაზეთში და რაც ჩემთვის მოულოდნელი შეიქნა.

მე ვამბობ გაზეთის საშუალებით დისკუსიის გამართვაზე—რაც ჩვენთვის უჩვეულო ამბავია—ჩვენი პარტიის დღევანდელი მდგომარეობის გამო (იხ. „ახ. კომ.“ № 78.

რედაქცია იმედოვნებს, რომ ამხანაგები თავთავიანთ აზრს გამოთქვამენ და მით საშუალებას მისცემენ პარტიას შეიმუშაოს ერთი გარკვეული პასუხი წამოყენებულ საკითხზე.

მინდა შევეცადო მეც ჩემი აზრი გამოვთქვა ამ ფრიად საჭირბოროტო საკითხზე და ეს მით უფრო, რომ ამას თვით კრიტიკა და კრიტიკის თავისუფლების პრინციპი მოითხოვს. საჭიროა ამას არც ერთი ჩვენგანი არ მოერიდოს და თავისი ინდივიდუალური აზრი პროლეტარული პირდაპირობით და გულ—ახდილობით გამოთქვას, რათა კოლექტიური აზრი მეტი სიმტკიცით გამოიჭედოს.

რაში მდგომარეობს ჩვენი პარტიის „მორიგი ამოცანა?“ ასე აყენებს კითხვას ამხ. ბახტიარი და შემდეგნაირათ უპასუხებს. მისი აზრით პარტიის მორიგი ამოცანაა: ფეხზე დააყენოს, აამოძრაოს, პარტიულ მუშაობაში ჩააბას, მთელი ენერგია და ცოდნა დაახარჯვინოს, საჭირო მსხვერპლის გაღებას მიაჩვიოს—თვითეული პარტიის წევრი“.

მართალია, პარტია კლასთან შედარებით, როგორც მთელი, აქტიურ მოწინავე ნაწილს შეადგენს კლასისას, მარა თავის მხრით თვით პარტიაც ასეთსავე ნაწილებათ დაიყოფა.

ამიტომ როცა ვამბობთ—პარტიამ უნდა განავითაროს თავისი წევრიო, ეს იმას ნიშნავს, რომ მოწინავე ნაწილმა უნდა განავითაროს, „ფეხზე დააყენოს“ მოუმზადებელ—გაუწრთვნელი ელემენტები და აიყვანოს ისინი სათანადო სიმაღლეზე; და თუ ეს ასე არ ხდება, როგორც ამას ამხ. ბახტიარი ამჟღავნებს ჩვენს პარტიაზე, ეს იმას მოასწავებს, რომ თვით პარტიაში ან სულ არ არსებობს ისეთი ნაწილი, მოწინავე ელემენტები ანდა მეტათ სუსტია ეს ნაწილი იმისთვის, რომ მოუმზადებელ—გაუწრთვნელი ელემენტები აამოძრაოს ან თვით კლასიდან გამოიყვანოს საჭირო მოთავეები.

სწორეთ ასეთ მდგომარეობას განიცდის ჩვენდა სავალალოთ ჩვენი პარტია დღეს ჩემი აზრით და თუ გვინდა, რომ ამ მდგომარეობიდან გამოვიდეთ, ამისთვის კარგა ღრმათ უნდა ჩაუკვირდეთ ყველა იმ მიზეზებს, რამაც ჩვენ ამ ყოფაში ჩაგვაყენა და უნდა გამონახულ იქნას გზა, რომელიც ჩვენ ფართე პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ასპარეზზე აუცილებლათ გამოგვიყვანს.

ამიტომ დღეს ჩვენი პარტიის პირველი „მორიგი ამოცანა“: ჯერ გამოარკვიოს საქართველოს ნიადაგზე თავისი მოქმედების შეფერხება—შესუსტების მიზეზები და შემდეგ შეუდგეს იმ გზის გამონახავს, რომელზედაც ის კვლავ შესძლებს თავისი ძალების აღდგენას, ისევ მოღონიერდება და კვლავ გადამწყვეტ ბრძოლას გაუმართავს თავის მოპირდაპირეს.

ჩვენში დღემდე ბევრი ფიქრობდა, რომ ჩვენი პარტია სულაც არ შეფერხებულა, რომ მან „ბრწყინვალეთ გაიმარჯვა და სხვა“... მაგრამ დღეს, როგორც ამხ. ბახტიარის და გადამთიელის წერილებიდან ვხედავთ ეს აზრი უკუგდებულია და პარტიის შეფერხება—შესუსტების საკითხია წინ წამოყენებული.

და მერე როგორ უპასუხებენ ამ კითხვაზე ხსენებული ამხანაგები?

პირველიც და მეორეც ლეგალურ ნიადაგზე (არა ლეგალურს ისინი არ ეხებიან) ჩვენი პარტიის მისუსტების მიზეზს უმთავრესათ მთავრობის რეპრესიებში ხედავს და ამას ამხ. გადამთიელი დაბეჯითებით შემდეგსაც დასძენს: „ეს ასეა და რეპრესიების როლის დამცირება ამ საქმეში არ შეიძლებაო“.

რეპრესიების გავლენას ამ საქმეში მე არ დავამცირებ, მაგრამ მთავარ მიზეზს მე მასში ვერ ვხედავ.

ჩვენი პარტია წინათ არა ლეგალურ ნიადაგზე იდგა, რისთვისაც მას რეპრესიების წინააღმდეგ შესაფერი ზომებიც ჰქონდა მიღებული, მაგრამ მიუხედავათ ამისა მისი გამოსვლები ამ ასპარეზზე გამარჯვებით ვერ დასრულდა.

არა, რეპრესიები რევოლიუციური პარტიის წინააღმდეგ ყოველთვის უხვათ ყოფილა მიმართული ყოველგან და ყოველთვის იქნება როგორც არა ლეგალურზე ისე ლეგალურზედაც. მაგრამ რევოლიუციური პარტია ასეთ დაბრკოლებას, რეპრესიებს ყოველთვის აუცილებლათ სძლევს ხოლმე, თუ კი ის მართლა მასსიურ, „ნამდვილ პოლიტიკურ პარტიას“ წარმოადგენს.

საქმე იმაშია, როგორც ამხ. გადამთიელი სამართლიანათ ამბობს, „რომ ჩვენ ვერ გავხდით საკმაოთ საგრძნობი ძალა ჩვენი ქვეყნისა პოლიტიკურ ცხოვრებაში... ჩვენ ვერ შევძელით გაგვეჩაღებია ნამდვილი ორგანიზაციული მუშაობა და დღემდის ვერ გავსცილდით უბრალო პროპაგანდისტულ მუშაობას“. და ქვევით ავტორი მოყვრის გულსაკლავათ და მტრის გასახარებლათ გვითითებს, რომ „რომ ჩვენ ვერ შევასრულეთ ერთი ორგანიზაციული საქმე, „რომ ჩვენ ვერ მოვიწვიეთ პარტიული სიეზდი, რომ ჩვენ ვერ შევიმუშავეთ პოლიტიკა და ტაქტიკა, რომ ჩვენ პარტიისათვის თავი ვერ მოგვიყრია“ და სხვა და სხვა. ბოლოს ავტორი ათავებს იმით რომ თავის ანალიზს, რომ აცხადებს: „ამის მიზეზების ძებნა საჭირო არ არის“, თუმცა ეს აუცილობელი ფაქტიაო.

ჩვენი სივაგლახე თურმე უცილობელი ფაქტია, ხოლო „ამის მიზეზების ძებნა კი საჭირო არ ყოფილა“!

საოცარია! ვისაც შეცდომის გასწორება უნდა, ვისაც ნაკლის თავიდან აშორება სურს და უნდა მავნე მოვლენას შეებრძოლოს, ის უნდა იკვლევდეს ამ მოვლენის, ნაკლის, შეცდომის მიზეზებს და იმ მიზეზების თავიდან აშორებას უნდა ცდილობდეს. არის მეცნიერული მეთოდი მავნე მოვლენებთან ბრძოლის და ვინც ამას გვერდს უხვევს, იგი უთუოთ უტოპიზმში და ცრუმორწმუნეობაში ვარდება.

ჩვენი პარტია არ არის უტოპისტური პარტია, როგორც ამას მენშევიკები გვიკიჟინებენ. იგი მეცნიერულ კვლევა ძიების ნიადაგზე დგას და სიმართლე-სინამდვილეს პირდაპირ თვალს უსწორებს, რაგინდ ის მწარე იყოს მისთვის.

მაშ აუცილებლათ უნდა ვიცოდეთ, თუ რაში მდგომარეობს ეს სიმართლე-სინამდვილე. ამაზე კი შემდეგ წერილში.

რ. კ.

## მესამე ინტერნაციონალი ევროპაში

### საფრანგეთი

(დასასრული იხ. „ახ. კომ.“ № 84).

მეორე მხრით საფრანგეთის საწარმოვო კავშირების გულში შეუჩერებელი ენერგიული მუშაობა სწარმოებს ძველ ღირებულებათა გადასასინჯავათ და ახალი ორიენტაციის მისაღებათ.

ამ მხრივ საინტერესოა სხვათა შორის ჩვენი გაზეთის 82 ნომერში, უცხოეთის პრესის ქრონიკაში, გაზეთ „ტანი“-იდან მოყვანილი ცნობები, რომლებზედაც მივაქცევ ამხ. მკითხველების ყურადღებას. მიუხედავათ იმ ტონისა, რომელიც ბუნებრივია ბურჟუაზიულ გაზეთისათვის, ეს ცნობები დიდ ინტერესს წარმოადგენენ თავისთავათ.

მოსკოვში დაარსებულ კომუნისტურ სინდიკალურ ინტერნაციონალის ცენტრის მოწოდებამ ყველა ქვეყნების კავშირებისადმი თავისი გავლენა იქონია კერძოთ საფრანგეთშიაც. ახალი ინტერნაციონალის დროშის ქვეშ ხდება ორგანიზაციული გადაჯგუფება ძველი სინდიკატების შემადგენელი ნაწილების, რადგან საფრანგეთი არ წარმოადგენს გამონაკლისს და მის მუშათა მოძრაობაშიაც, ისე როგორც სხვა ქვეყნებში, გარკვეულათ იბრძვიან მემარჯვენე, ცენტრის და მემარცხენე ფრაქციები. ეს უკანასკნელი თავის საკუთარ ფიზიონომიას იჩენს ტაქტიკურათ და თუმცა ის ორგანიზაციულათ არ არის მოწყვეტილი საერთო კონფედერაციას, მარა მას შეადგენენ მეუმცირესეთა სინდიკატები, ყავს ამ სინდიკატებს კომიტეტი, რომელიც ხელმძღვანელობს მათ ოპოზიციის რეფორმისტული კურსის წინააღმდეგ. ისინი აწარმოებენ სასტიკ ბრძოლას სინდიკალური ბიუროკრატიის და კონფედერალურ ბიუროს წინააღმდეგ, რომელიც ჟუოსა და დიუმულენის მეთაურობით ცდილობს შეებრძოლოს კომუნიზმის გავლენის ზრდას. და ეს არის ჩვენი გავლენის ზრდა არა მარტო პროფესიონალური კავშირების რევოლიუციონური ორიენტაციის საქმეში, არამედ ის არის დასაწყისი სერიოზული ოპოზიციის სინდიკალიზმის კლასიკური აპოლიტიკური პოზიციის წინააღმდეგ.

როგორც ცნობილია, წვრილ-ბურჟუაზიულმა სოციალიზმმა პრუდონიზმის ფორმით, რომლის იდეიური გავლენა ჩაქსოვილია სინდიკალიზმის თეორიაში, ამას გარდა პოლიტიკური ბრძოლის პრინციპის იმ კრიზისმა, რომლის სათავე დამარხულია პარიზის კომუნის საშინელ დამარცხებაში, პარლამენტარულმა კრეტინიზმა და მინისტერიალიზმა განსაკუთრებით ახალი საუკუნის პირველ ათეულ წლებში დაჰბადა თავის მხრივ გადაჭარბებული რეაქცია ყოველგვარი სოციალისტური **პოლიტიკის** მიმართ და ხელი შეუწყო ანარქო-სინდიკალიზმის გავლენას საფრანგეთის მუშათა მოძრაობაში. წინააღმდეგ პოლიტიკისა, წინააღმდეგ სახელმწიფოსი, წინააღმდეგ სოციალისტური პარტიისა, როგორიც კი უნდა იყონ ისინი—აი მათი პოზიცია. რომ ჩვენი სინდიკალური ორგანიზაციების გარეშე—დაახლოებით ასე ამბობენ ისინი—მოიპოვებიან პარტიები და სექტები, რომლებსაც მიზნათ დაუსახავთ პოლიტიკური ძალა-უფლების დაპყრობა და აქეთკენ იწიკებიან—ეს მათი ნებაა, ეს დანიშნულებაცაა მათი, მარა ჩვენ ჩვენთვის დავრჩეთ მათგან დაშორებული, ეკონომიური ბრძოლის ნიადაგზე, ეკონომიური ძალა-უფლების დასაპყრობათ, თავი ანებონ პოლიტიკას და სახელმწიფოს.

ვისაც ეს ეპრიანება, ჩვენ კი სხვა საქმე გვაქვს ეკონომიური აღმშენებლობის

სფეროში. ასეთია მათი აზრი და ყველა ამ აზრის მოწინააღმდეგეებს ხელში აჩეჩებენ ამიენის გადაწყვეტილებას. აი სწორეთ ასეთი ანარქო-სინდიკალისტური ტაქტიკის წინააღმდეგ პირველათ იწყება საფრანგეთის სინდიკალიზმის ისტორიაში მარქსისტული კრიტიკა, კომუნიზმის ე. ი. იმ მიმდინარეობის დროშის ქვეშ, რომელიც თვით უსასტიკესი და დაუნდობელი მტერია სოციალისტური პოლიტიკის პროფანაციის, მისი ოპორტიუნიზმის, მისი თუ შეიძლება ასე ითქვას ბურჟუაზიული მინისტერიალიზაციის.

სინდიკალური მოძრაობის ის ფრთა, რომელიც მუდამ იღებს ბურჟუაზიისა და მემარჯვენე სინდიკალისტების მუქარას, განსაკუთრებით ამ უკანასკნელების ბრალდებას, რომ მემარჯვენეები ღალატობენ სინდიკალურ მოძრაობას, სურთ დაუმორჩილონ ის კომუნისტურ პარტიას და მით დაარღვიონ სინდიკალური კონგრესების დადგენილებანი მათი ავტონომიის შესახებ, ეს ფრთა თანდათან იპყრობს მასსებს და საინტერესოთ ასაბუთებს თავის ახალ ხაზს კომუნისტურ სინდიკალურ ინტერნაციონალისა და კომუნისტურ პარტიასთან დაახლოების შესახებ.

მისი აზრით სინდიკატების ძველი დამოკიდებულება პოლიტიკურ პარტიასთან ისტორიულათ გასამართლებელი იყო, რადგან ეს დამოკიდებულება მუშავდებოდა მაშინ, როდესაც პოლიტიკური პარტიები მხოლოდ პარლამენტარულ და რეფორმისტულ მუშაობას ეწეოდენ და სინდიკატებიც იძულებული იყვნენ თავი დაეცვათ მათი პოლიტიკის გამათახსირებელი გავლენისაგან. მაგრამ დღეს, როდესაც ბოლშევიზმის ზეგავლენით, სოციალისტური პარტიები, კერძოთ საფრანგეთის, გადადიან რევოლიუციონურ მოღვაწეობაზე, ჩვენ უნდა დაუახლოვდეთ პარტიას და შეუერთოთ ჩვენი მოღვაწეობა მის მუშაობასო. ამ აზრს ატარებენ ისინი მეუმცირესეთა სინდიკატების რაიონულ კონგრესებზე და სხვათა შორის იგივე სთქვეს სენისაზე სადაც წარმოდგენილი იყო 37 სინდიკატი. აქ მათ განაცხადეს, რომ თუ კონფედერაციამ ყოყმანი დაიწყო, ჩვენ შევალთ კომუნისტურ ინტერნაციონალში და გავაგრძელებთ იმავე დროს მუშაობას კონფედერაციაში, მისი ამ გზით გასაყოლიებლათო.

ასეც მოიქცენ, თუ ამ დღეებში გადმოცემული რადიო სიმართლეს შეიცავს, ორლეანის კონფედერალურ კონგრესს უარი უთქვამს კომუნისტების ინტერნაციონალში შესვლაზე, ხოლო უმცირესობათა სინდიკატებს კი ამის შემდეგ გადაუწყვეტიათ პირიქით იქ შესვლა.

ამნაირათ სინდიკატებისა და პარტიის ურთიერთშორის დამოკიდებულებას ისტორიაში საფრანგეთში დღეს პირველათ და სერიოზულათ დგას კითხვა მათ შორის დიდი ხნის ამართული კედლის ჩამონგრევის შესახებ, რომელზედაც ორივე მხრიდან არიან მიმდგარი პარტიული და სინდიკალური წრეების რევოლიუციონური ელემენტები კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.

ამნაირათ კომუნიზმი თანდათან აფართოვებს თავის იდეიურ პოლიტიკურ და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ორგანიზაციულ გავლენას საფრანგეთის მუშათა კლასის პარტიულ და სინდიკალურ ორგანიზაციებში. ამ უკანასკნელების საერთო კავშირის, „შრომის საყოველთაო კონფედერაციის“ კონგრესმა ორლიანდში დაგვანახვა, რომ ჩვენი ამხანაგების გავლენამ ვერ ნახა ჯერ კიდევ ოფიციალური გამოხატულება უმრავლესობის შექმნით კონგრესზე, თუმცა მეუმცირესეთა სინდიკატებმა გიგანტური ნაბიჯი გადადგეს წინ. ხოლო მომავალი ნოემბრის პირველ რიცხვებისათვის განზრახული პარტიული სიეზდი გვატყვის რამდენათ შორს წავიდა პარტიული მასსის „ბოლშევიზაცია“ საფრანგეთში...

კ. კრედო.

ბიან ხოლმე ოდესღაც მისივე საკუთარ მიწაზე. გასაკვირი როდია თუ გლეხისთვის ასეთი ცხოვრება აუტანელი ხდება. ეს ცხოვრება კი არ არის, არამედ საბრალო ჭაპანწყვეტაა გლეხები ამ მდგომარეობიდან უნდა გამოვიყვანოთ. ეს შესაძლებელია მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ უზრუნველვყოფთ გლეხებს შრომის თავისუფლებით, ე. ი. ისეთ პროგრამას გავატარებთ, რომ თვითეული გლეხს საკმარისი მიწა ექნება. გლეხმა მიწა ვალშიც კი არ უნდა დაჰკარგოს. მიწა საერთოა, გლეხი მხოლოდ მას დაამუშავებს.

დღევანდელმა პირობებმა ჩვენს გლეხობაში სიღარიბე გააძლიერა. ახლა არავინ წავა იმის წინააღმდეგ, რომ გლეხს უნდა მიეცეს მიწა და მშვიდობიანი ცხოვრების საშვალება. აუცილებლათ უნდა გაუმჯობესდეს გლეხის მდგომარეობა: უნდა მიექცეს ყურადღება მათი ბინების გაუმჯობესებას, მათი ჩაცმა-დახურვის საქმეს. ნუთუ არ შეიძლება, რომ გლეხების ცხოვრება უმჯობესათ მოეწყოს, რომ მათაც ექნეთ სკოლები და ლამაზი მეჩეთები. ამისათვის კი აუცილებლათ საჭიროა გლეხი განთავისუფლდეს ყველა იმ ხუნდებისგან, რომლებიც მას ბორკავს და დავაყენოთ ის იმ გზაზე, რომელიც მას სრულს თავისუფლებამდის მიიყვანს.

ოსმალეთის გლეხებო! ჩამოაგდეთ ძველი მთავრობა და თქვენ ისარგებლებთ ამ ქვეყნის ყოველივე სიკეთით! თუ გინდ კიდეც არავინ დარჩეს თქვენთან, თქვენ მაინც მოიპოვებთ არსებობის უფლებას, თქვენ შექმნით ციალ მომავალს. არ შედრკეთ, გასწით წინ!

**მეფე კონსტანტინე.**

**ლიონი**, 31 ოქტ. „ტანი“ სწერს: ლიუცერნში გრძელდება თათბირი საბერძნეთის მეფის გვარეულობის წევრთა [...] მათ პოლიტიკურ მომხრეთა შორის. [...]ზეთი ირწმუნება, რომ კოსტანტინ[...] სრულიადაც არა აქვს იმის სურვილ[...] რომ უარყოს საბერძნეთის ტახტი. [...] აგრეთვე არ სურს, რომ საბერძნეთ[...] ტახტზე ავიდეს მისი შვილი პავლე. [...] ბოლოს, მართლდება ის მოსაზრება, [...] საბერძნეთის ყოფილი მეფე არ გამო[...] ცხადებს თავის პირად განზრახვებს [...]ნემდის, ვიდრე ათინის მთავრობა ოფ[...]ციალურად არ შეეკითხება ამის შესახ[...] კოსტანტინეს ოჯახს.

**ვილნოს ინციდენტი.**

**მოსკოვი**, 27 ოქტომ. პოლონელებ[...] მიერ ვილნოს დაკავების გამო გაზ[...] „დეილ გერალდი“ სწერს: ვილნოს ამბ[...]ბი, ეს ერთი ეპიზოდია საფრანგეთ[...] მთლიან პოლიტიკაში, რომელიც ყოვლ[...] პირველად სცდილობს გაანადგუროს ს[...]თა რუსეთის საზღვრებზე ომის გაგრძე[...]ლებით და მეორე კიდევ დაამყაროს [...] ფრანგეთის სამხედრო ჰეგემონია ალმ[...] სავლეთ ევროპაზე.

**მოლაპარაკება კრასინთან.**

**მოსკოვი**, ინგლისსა და კრასინს შ[...]რის მოლაპარაკების გამო გაზ. „დეილ[...] გერალდი“ სწერს: „როდესაც კრასინ[...] სავაჭრო დამოკიდებულებაზე ლაპარა[...]კობდა, ლოიდ ჯორჯი დაჟინებით იწყ[...]ბდა ლაპარაკს პოლიტიკაზე. როდესა[...] პოლიტიკური მოლაპარაკების საქმე წ[...] წაიწია, განვითარდა, ის სწყვეტს მ[...] და აცხადებს (ლ. ჯორჯი), რომ მას მხო[...]ლოდ ვაჭრობის შესახებ სურს ლაპარა[...]კი. და ეხლა, როდესაც სავაჭრო ხელ[...] შეკრულების პროექტი უკვე შედგენილი[...] ის (ლ. ჯორჯი) ეხლაც ისევ დაჟინები[...] მოითხოვს, რომ მასთან პოლიტიკი[...] შე[...]სახებ ილაპარაკონ.

# ბიულეტენი პრესბიუროსი
## რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.
(რადიოთი მოსკოვიდან, ნაუენიდან, ლიონიდან და სხვ. და პირდაპირი მავთულით კავკავიდან და ბაქოდან).

# საზღვარ-გარეთ

**„პალომნიკების“ წმიდა ადგილებში სალოცავათ გამგზავრებულთა ხაყურადღებოთ.**

**რეშტი**, 1 ნოემბერი. კერმანშაბის გაზ. „ბისუტუნი“ „პალომნიკების“ საყურადღებოთ შემდეგს იუწყება:

„გზა ბაღდადსა და ალეპპოს შუა დაკეტილია და ოდნავათაც არ არის იმედი, რომ მალე გაიხსნება. მიზეზი არის გზაში მოსალოდნელი საფრთხე.

ბასრასა და მექას შუა შარაგზაც იმავე მიზეზით დაკეტილია.

ბასრიდან ბომბეიმდის და იქიდან ქედამდი საზღვაო მიმოსვლა შესაძლებელია. მაგრამ, რადგან ხომალდები ძალიან ცოტაა, წესიერი მიმოსვლა არ არის.

ამ მიზეზების გამო, კარგი იქნებოდა, რომ პატივცემული „პალომნიკები“ წმინდა მექაში წასვლას გადადებდენ, ვიდრე გზა გაიხსნება და მოგზაურობის დროს რამე საფრთხე არ იქნება მოსალოდნელი“.

**ახალი ცხოვრება.**

**ტრაპიზონი**, 2 ნოემბ. გაზ. „ენიგიუნი“. რომელიც ანგორაში გამოდის, სწერს:

„ცდებოდენ და ცდებიან ისინი, ვინც ფიქრობენ, რომ ანატოლიაში არ არის არავითარი აგრარული საკითხიო.

ეს საკითხი ანატოლიაში არსებობს-ანატოლიაში, რომელიც ისეთ მდიდარ მხარეთ ითვლება, რომ არა თუ დღევანდელ თავის მცხოვრებლებს გამოჰკვებავს, არამედ ათჯერ მეტსაც. ეს არის დიდძალი გლეხობა, რომელსაც არა აქვს მიწა. მათი რიცხვი 30 პროც. უდრის. ისინი სხვის მამულებში მუშაობენ.

ჩვენებური გლეხი გარდა იმისა, რომ სამეურნეო დ სხვა იარაღებს საჭიროებს, მემამულეების მუხრუჭშია გამომწყვდეული. ყველასათვის ცხადია, რომ სამიწათ მოქმედო ბანკი, რომელიც გლეხების დასახმარებლათ დაარსდა, ძალიან დაშორებულია თავის ნამდვილ დანიშნულებას. გლეხებს ჯერ არ შეუძლია ბანკიდან რაიმე დახმარება გამოიტანოს, თუ მოახერხა რისამეს გამოტანა, ეს მას დიდი ვაივაგლახი უჯდება. გლეხს არ მოსწონს ასეთი დავიდარაბა, რომელიც მას ბანკიდან დახმარების გამოტანის დროს ხვდება; მით უფრო, რომ ეს მას ხშირად ამაოდ უვლის ხოლმე და იძულებული ხდება ისევ რომელიმე მდიდარ მეზობელს მიმართოს დახმარებისათვის; საკმარისია, რომ იგი ერთხელ მოყვეს მევახშის კლანჭებში, რომ შემდეგში იქედან თავი ველარ დაიძვრინოს. ფორმალურათ სარგებელს 9 პროც. ღებულობენ, სინამდვილეში კი 100 პროცენტი. გლეხს არ ესმის საქმის ვითარება და მისი მდგომარეობა თანდათან ცუდდება; ბოლოს და ბოლოს მთელი მისი ქონება, მიწა-წყალი გადადის მევახშის ხელში.

აი ამნაირათ მრავლდება უმუშევართა რიცხვი, რომლებიც მემამულეების მონებათ და დაქირავებულ მუშებათ ხდე-

# საბჭოთა რუსეთში

**ბავშვების უზრუნველყოფის კურსების გახსნა.**

**მოსკოვი**, 3 ნოემბერი. (რადიო). პირველ დეკემბრიდან მოსკოვში იხსნება განათლების სახალხო კომისარიატთან ორთვიანი კურსები, ბავშვების აღმზრდელების მოსამზადებლათ.

**თურქესტანი და ბუხარა—ავათმყოფ წითელ-არმიელებს.**

**მოსკოვი**, 3 ნოემბერი. (რადიო). სახალხო კომისართა საბჭომ შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო თურქესტანიდან: „წითელ აღმოსავლეთის მუშები და გლეხები აგზავნიან მოსკოვში 15 ვაგონს სურსათს, რომელიც შეგროვილია „ავადმყოფ და დაჭრილ წითელ არმიელების დახმარების კვირაში“.

**ტაშკენტის რკინის გზის აღდგენა.**

**მოსკოვი**, 3 ნოემბერი. (რადიო). სა[...]მოქალაქო ომის დროს ტაშკენტის რკი[...]ნის გზაზე თეთრებმა ააფეთქეს 140 ხი[...]დი სხვა და სხვა ზომების, მათ შო[...]რის ყველაზე დიდები: ილეცკის, ჩიმ[...]კანკის და დონგუზსკის. მთელ ზაფ[...]ხულში და ახლაც სწარმოებს გაცხარე[...]ბული მუშაობა ხიდების აღსადგენათ. დიდი შრომა დაჭირდა ტელეგრაფის მავთულების აღდგენას. დღეს უკვე არის პირდაპირი მავთული მოსკოვსა და ტაშკენტს შორის. ყოველ კვირაში დადიან ჩქარი მატარებლები ტაშკენტსა და მოსკოვის შუა. ტაშკენტის რკინის გზა მა[...]ლე აღდგენილი იქნება. სამი თვის გან[...]მავლობაში გადატანილია 1700 ვაგონ[...] ბამბა. ცენტრის შეკვეთილი ნახევარ[...]

**ლ. ტროცკი.**

## პარიზის კომუნა და საბჭოთა რუსეთი

(გაგრძელება იხ. „ახ. კომუნ.“ № 81).

III. **„თვითშექმნილი“ ცენტრალური კომიტეტი და „დემოკრატიული“ კომუნა.**

„19 მარტს,—მოგვითხრობს კაუცკი—ნაციონალური გვარდიის ცენტრალურ კომიტეტში ერთნი მოითხოვდენ ვერსალზე გალაშქრებას, მეორენი—ამრჩევლებისადმი აპელაციას აპელიაციას მიმართეს, მესამენი პირველად ყოვლისა—რევოლიუციონური ზომების მიღებას, ვითომდა თვითეული ამ ნაბიჯთაგანი ღრმა აზროვნულათ გვასწავლის ავტორი,—არ თანასწორათ აუცილებელი და, ვითომდა ისინი უარჰყოფდენ ერთი-მეორეს“. (გვ. 54).

შემდეგ სტრიქონებში, კაუცკი, კომუნაში არსებულ ამ უთანხმოების გამო გამოსთქვამს ცოტათ შეკეთებულ ბანალურ აზრებს რევოლიუციის და რეფორმის ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ. ნამდვილათ კი კითხვა იდგა ასე: თუ კი გავილაშქრებთ ვერსალზე და მოვიმოქმედებთ ამას ერთი საათის დაუკარგავადაც, მაშინ საჭიროა იქვე მოგვეხდინა რეორგანიზაცია ნაციონალური გვარდიისა, მის სათავეში დაგვენიშნა ყველაზე უფრო მებრძოლი ელემენტები პარიზის პროლეტარიატისა და ამით დროებით დაგვესუსტებინა პარიზი. მაგრამ არჩევნების მოწყობა პარიზში, მაშინ როდესაც იმავე დროს მის კედლებიდან გავიდოდენ მუშათა კლასის საუკეთესო ელემენტები, იქნებოდა სისულელე რევოლიუციონური პარტიის თვალთახედვით. რასაკვირველია, თეორეტიულად, კომუნის არჩევნები და ვერსალზე გალაშქრება სრულიად არ ეწინააღმდეგებოდენ ერთი-მეორეს, მაგრამ პრაქტიკულად კი უარყოფდენ ერთმანეთს: არჩევნებში გასამარჯვებლად საჭირო იყო შეტევის გადადება, შეტევის გასამარჯვებლად კი არჩევნების სხვა დროისათვის გადატანა. დაბოლოს, სხვას რომ თავი დავანებოთ, როდესაც პროლეტარიატს გავიყვანდით ბრძოლის ველზე და ამით დროებით დავასუსტებდით პარიზს, აუცილებელი იყო უზრუნველგვეყო ზურგი, შესაძლებელ კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლებისგან სატახტო ქალაქში, რადგან ტიერი არავითარ საშუალებას არ დაერიდებოდა, რათა როგორმე კომუნარების ზურგში დაენთო თეთრი ცეცხლი. საჭირო იყო შემოღება უფრო სამხედრო, მაშასადამე, უფრო მკაცრი რეჟიმისა პარიზში.

„ბრძოლა უხდებოდათ,—სწერს ლავროვი — წინააღმდეგ მრავალ-რიცხოვან შინაურ მტრებისა, რომლებმაც თითქმის სულ აავსეს პარიზი და კიდევ გუშინ ამ ბოხჭბას აწყობდენ ბირჟის ახლო და ვანდომის მოედანზე; ჰყავდათ თავისი წარმომადგენელნი მართველობაში, ნაციონალურ გვარდიაში; ჰქონდათ საკუთარი პრესა, თავისი საკრებულოები, თითქმის აშკარა კავშირში იყვენ ვერსალელებთან და სულ უფრო გამბედავნი და შეუპოვარნი ხდებოდენ კომუნის ყოველივე გაუფრთხილებელ ნაბიჯის, მის ფეხის წაბორძიკების გამო“. (გვერ. 87). ამასთან ერთად აუცილებელი იყო მთელი რიგი ფინანსიური და საერთოდ ეკონომიური ხასიათის ზომებისა, პირველად ყოვლისა —რევოლიუციონური არმიის დასაკმაყოფილებლად. ძნელად თუ შეიძლებოდა, რომ რევოლიუციონური დიქტატურის ყველა ეს უკიდურესად აუცილებელი ზომები შერიგებოდა ფართო საარჩევნო კომპანიას. კაუცკის გაგებაც კი არა აქვს იმის, თუ რა არის რევოლიუცია სინამდვილეში. ის ფიქრობს, რომ თეორეტიულად შერიგება —ნიშნავს პრაქტიკულად განხორციელებას.

კომუნაში არჩევნები ცენტრალურმა კომიტეტმა დანიშნა 22 მარტს; მაგრამ თავისი მერყევი ხასიათით, არალეგალური მდგომარეობით შეშინებულმა, მოსურნემ, რომ ემოქმედა შეთანხმებით უფრო „კანონიერ“ დაწესებულებასთან, —მან დაიწყო უაზრო და დაუთავებელი მოლაპარაკება სრულიად უღონო პარიზის მერთა და დეპუტატთა საკრებულოსთან და მზათ იყო, გაეყო მისთვის ძალა-უფლება, ოღონდ მიეღწია შეთანხმებას. ძვირფასი დრო კი გადიოდა.

მარქსი, რომელსაც კაუცკი ძველებურად ცდილობს დაეყრდნოს, არავითარ შემთხვევაში არ იძლეოდა წინადადებას, რომ დაეწყოთ კომუნის არჩევნები და იმავე დროს გაეყვანათ მუშები ბრძოლის ველზე. 1871 წ. 12 აპრილს მარქსი სწერდა კუგელმანს, რომ ნაციონალურმა გვარდიის ცენ. კომ.-მა ძალიან ნაადრევათ მოიხსნა ძალა-უფლება, რომ ადგილი დაეთმო კომუნისათვის.

კაუცკის, თანახმათ მისი საკუთარი სიტყვებისა, „არ ესმის“ მარქსის ეს აზრი.

მარქსს ძალიან კარგად ესმოდა, რომ საქმე იყო არა მხოლოდ ლეგალობაში, არამედ მტრისთვის სასიკვდილო ლახვრის ჩაცემაში. „რომ ცენტრ. კომ. შემადგენლობა ყოფილიყო ნამდვილი რევოლიუციონური—სამართლიანად ამბობს ლავროვი, მას უნდა ემოქმედა სრულიად სხვაგვარად.

მისთვის მიუტევებელი დანაშაული იქნებოდა, შიეცა მტრებისათვის წელში გამოსასწორებლად 10 დღე კომუნის არჩევამდის და მოწვევამდის, მაშინ, როდესაც პროლეტარიატის ხელმძღვანელნი უარს აცხადებდენ თავის მოვალეობაზე და თავის თავს უფლებას არ აძლევდენ დაუყოვნებლივი მეთაურობა გაეწიათ პროლეტარიატისათვის. ახლა ფატალურმა მოუმზადებლობამ სახალხო პარტიებისა შექმნა კომიტეტი, რომელიც მოვალედ რაცხდა თავის-თავს უმოქმედოთ დაეტოვებია ეს ათი (10) დღე. (გვ. 78).

ცენტრალური კომიტეტის ცდა, რაც შეიძლება საჩქაროთ გადაეცა მართველობა „კანონიერ“ მთავრობისთვის, ნაკარნახევი იყო არა იმდენათ ფორმალური დემოკრატიზმის ცრუ-მორწმუნეობით, —თუმცა არც ამაში იყო ნაკლულევანება,—რამდენათაც პასუხისმგებლობის შიშით. იმ საბუთით, რომ ის არის დროებითი დაწესებულება; ც. კომიტეტმა არ მიიღო ყოვლად უსაჭიროესი და სრულიად გადაუდებელი ზომები, მიუხედავათ იმისა, რომ მთელი მატერიალური აპარატი მართველობისა მის ხელში იყო. მაგრამ არც კომუნამ მიიღო სრულათ პოლიტიკური ძალა-უფლება ცენ. კომიტეტისგან, რომელიც საკმაოდ მოურიდებლათაც ერეოდა შემდგომაც მის ყოველ საქმეებში. ეს ქმნიდა ძლიერ სახიფათო, განსაკუთრებრივ სამხედრო დროის პირობებში, ორუფლებიანობას.

სამ მაისს ცენ. კომიტეტმა გააგზავნა კომუნაში დეპუტაცია, და მოითხოვა მის ხელში სამხედრო სამინისტროს გადასვლა.

„ხელ-ხლა წარმოდგა,—როგორც ამბობს ლისაგარე,—კითხვა: საჭირო არის დავშალოთ ცენტრ. კომიტეტი ან და დავატყვევოთ იგი, ან და მივანდოთ მას სამხედრო სამინისტროს გამგებლობა. აქ საქმე იყო არა დემოკრატიის პრინციპებში, არამედ იმაში, რომ არც ერთ ამ მონაწილეთ არ ქონდათ გარკვეული, ნათელი სამოქმედო პროგრამა და კიდევ იმაში, რომ ორივენი, როგორც „თვითშექმნილი“ რევოლიუციონური ორგანიზაცია—ცენტრალური კომიტეტი, ისევე „დემოკრატიული“ ორგანიზაცია კომუნა —მზათ იყვნენ ერთი-მეორესთვის მოეხვიათ პასუხისმგებლობა, იმ დროს, როდესაც არც ერთი მათგანი არ უშვებდა ხელიდან, სრულათ მაინც, ძალა-უფლებას. გვგონია, რომ აქ არაფერია ისეთი, რაიც ჩაითვლებოდეს ღირსად მიბაძვისა. „მაგრამ, ცენტრ. კომიტეტს,—იმედებს თავს კაუცკი,—არას დროს არ გაულაშქრია წინააღმდეგ იმ პრინციპის, რომლის ძალით უმაღლესი უფლება უნდა ეკუთვნოდეს მხოლოდ საყოველთაო ხმის მიცემით ამორჩეულთ. ამ პუნქტში პარიზის კომუნა იყო პირდაპირი წინააღმდეგობა საბჭოთა რესპუბლიკასა“. (გვ. 55).

არ იყო მართვა-გამგეობის ნების ერთიანობა. არ იყო რევოლიუციონური გამბედაობა, იყო მხოლოთ ორუფლებიანობა და შედეგათ—ჩქარი და საშინელი განადგურება. მაგრამ სამაგიეროთ—განა ეს საკმაო არ არის თავის დასამშვიდებლათ?—დემოკრატიის „პრინციპის“ წინააღმდეგ იარაღი არ აღუმართავთ!!

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღიური.

ყირიმის ფრონტზე წითელმა არმიამ აიღო სოკოლკოვო. ტყვეთ წაიყვანა მთელი გარნიზონი.

გაფიცვები რუმინიაში საყოველთაო ხასიათს ღებულობს. აპატიმრებენ სოციალისტებს.

პოლონელი გლეხები მოითხოვენ: დაუყოვნებლივ ზავის შეკვრას საბჭოთა რუსეთთან, პროლეტარიატის ბელადების დევნის შეწყვეტას და პოლიტიკურ პატიმართათვის ამნისტიას.

არჩევნების შედეგათ სამი ათასამდე იტალიის ქალაქების მუნიციპალიტეტები სოციალისტების ხელში იქნება.

ინგლისში მაღაროს მუშები წინააღმდეგი არიან შეთანხმების. სილვია პანქრესტს მიუსაჯეს ექვსი თვის ციხე კომუნისტურ გაზეთში მოთავსებულ წერილისათვის.

შრომის საყოველთაო კონფედარაცია აწყობს მთელ საფრანგეთში მიტინგებს და მანიფესტაციებს რუსეთის რევოლიუციის დასაცავათ.

ბულგარეთის პროლეტარიატი მხურვალეთ მიესალმა საბჭოთა რუსეთს თავის კონგრესზე.

---

მილიონი ფუთი ბამბა გადატანილი იქნება ნახევარ წელში.

**მისაბაძი მაგალითი.**

**მოსკოვი,** 3 ნოემბერი. (რადიო). ცარიცინის მაზრის, სოფ. შიროვის გლეხებმა ერთხმად დაადგინეს მთელი თავისუფალი დრო მოანდომონ ჩულქების ქსოვას წითელ არმიელებისათვის.

**მარტენოვის ფეჩი.**

**მოსკოვი,** 3 ნოემბერი. (რადიო) პოზსკის ქარხანაში აამუშავეს მარტენოვის ფეჩი, რომელიც გაუქმებული იყო მთელ წელიწადს.

**ნავთის კომპანია.**

**მოსკოვი,** 3 ნოემბ. (რადიო). ნავთის კომპანიის დაწყების დღიდან პირველ ნოემბრამდი ცარიცინში გაიარა ზევით მიმავალი ნავთი 93 მილიონი ფუთი, მათ შორის 16 მილიონი ფუთი დაწმენდილი ნავთი.

**მზრუნველობა ბავშვებზე.**

**მოსკოვი,** 3 ნოემბ. (რადიო). ყაზანში დაბრუნდა ექსკურსიიდან ბავშვები, რომლის რიცხვი უდრის რამდენიმე ათას ბავშს.

**ყველა შრომის ფრონტისაკენ!**

**კავკავი,** 2 ნოემბ. შრომის საოლქო კომიტეტმა გამოაცხადა მობილიზაცია ჩექმის მკერავების, მასთან ერთად აგროვებენ მანქანებს და სხვა ხელსაწყობებს. ცირკულიარული განკარგულების თანახმათ შედგენილია ადგილობრივ კომუნალურ სამეურნეო დაწესებულებების მიერ ჯამი ყველა კომუნალურ სამეურნეო დაწესებულებების დარგების—მაგალითად: ტრამვაის, წყალ-სადენების და აბანოების. მახლობელ დროში საოლქო შრომის კომიტეტის მიერ გაწვეულ იქნებიან მობილიზაციის სახით მთელი ბურჟუაზია და ყველა ის პირები, რომლებიც საერთო სამუშაოზე არ არიან. მობილიზაციით გაწვეულები გადაცემული იქნებიან საგანგებო კომისიის განკარგულებაში, რომელის ხელმძღვანელობით მოხდება ქუჩების და მოედნების გასუფთავება.

**საოლქო სახალხო კონსერვატორია.**

**კავკავი,** 3 ნოემბერი. კავკავში მახლობელ დროში გაიხსნება საოლქო სახალხო კონსერვატორია.

**იციან ვინც უნდა ამოირჩიონ.**

**კავკავი,** 3 ნოემბ. მთელ ოლქში დაიწყო ხელ-ახალი არჩევნები სოფლების და სტანიცების ისპოლკომების.

ამ არჩევნებთან ერთად შეუდგენ მზადებას თერგის ოლქის ყრილობისათვის არჩევნებს. არჩევნებს ყველგან მცხოვრებლები დიდის ინტერესით ეკიდებიან, უმთავრესათ სოფლის ღარიბები, რომლებმაც კარგათ იციან, რომ საბჭოებში არ უნდა გავიდეს არც ერთი კულაკი და კონტრევოლიუციონერი.

**ინგუშეთში.**

**კავკავი,** 3 ნოემბ. სოფელ პამურზიევოში მოხდა ცხენების მობილიზაცია. კომუნისტურ იაჩეიკამ მცხოვრებლები დაყო კატეგორიებათ: ვისაც სულ არ ყავს ცხენი, ვისაც ერთი ცხენი ყავს და ვისაც ერთზე მეტი. პირველი კატეგორიის მცხოვრებლები თავისუფლდებიან ბეგარისაგან, მეორე ფულით ეხმარება, დანარჩენ მცხოვრებლებზე, რომელთაც რამდენიმე ცხენი ყავთ მათი პროტესტის მიუხედავათ, გატარდა მობილიზაცია.

**ყაბარდოში.**

**კავკავი,** 3 ნოემ. ყაბარდოის ღარიბები სულ ყველა საბჭოების მხარეზე არიან. მცხოვრებლები თანდათან იგნებენ, რომ მშრომელების ინტერესების საუკეთესო დამცველია საბჭოთა მთავრობა. უნდა აღინიშნოს, რომ ნალჩიკის მაზრის მცხოვრებლები თავის ძლიერ გულისწყრომას გამოხატავენ ყაჩაღურ ბანდების წინააღმდეგ. ამის გამო ბევრი ყაჩაღთაგანი, რომლებიც ამდენხანს ტყეში იმალებოდა, ისევ სოფელში მოდიან და პატიებას ითხოვენ.

**ბამბის დამზადება.**

**მოსკოვი,** 25 ოქტ. სექტემბერში რესპუბლიკაში სათადარიგო ბამბა იყო—თურქესტანში—სულ 7 მილიონი ფუთი. შიდა გუბერნიების ფაბრიკის საწყობებში 400 ათასი ფუთი გაწმენდილი ბამბა იყო. გადმოსაზიდათ გამზადებულია მატარებლებში 2 მილიონი 800 ათასი ფუთი.

**ჩვენი საფაბრიკო წარმოების გაძლიერება.**

**სტავროპოლი,** 30 ოქტ. სექტემბრის განმავლობაში ქალაქში მუშაობდა 4 ფაბრიკა სადაც დამზადდა 1—ფაბრიკაში—15,757 არშინი მაუდი. ამის გარდა კიდევ 12,904 არშინი. სხვა ფაბრიკებში დაამზადეს 51 ფუთი და 25 გირვანქა ძაფი.

**სოფლების საჭიროებისათვის**

**ბაქო,** 3 ნოემ. ადერბაიჯანის სახალხო მეურნეობის საბჭომ მოაწყო ერთი ქარხანა, რომელიც სასწრაფოთ მოამზადებს სხვადასხვა იარაღებს სასოფლო მეურნეობის საჭიროებასათვის.

**„გლეხთა კვირა“**

**ბაქო,** 2 ნოემბერი. „გლეხთა კვირის“ დროს მუშაობის საქმე კარგად მიდის და კარგ ნაყოფსაც იძლევა ადერბაიჯანში საბჭოთა ძალაუფლების გამტკიცებისათვის. ადერბაიჯანის შორეულ კუთხეებიდან, როგორიცაა: კუბის, შემახის, ნუხის, იმუსის და სხვა მაზრებიდან მოდის ცნობები, რომ იქ გაგზავნილ კომუნისტებს ძლიერ ნაყოფიერათ გაუფართოებიათ თავისი მუშაობა. „გლეხთა კვირის“ შემდეგ არავითარი ნიადაგი არ ექნება გლეხთა შორის მუსავატელების მზაკვრულ საქმიანობას.

**ფასების მოწესრიგების საქმე.**

**ბაქო,** 2 ნოემბ. ადერბეიჯანის სახალხო სამეურნეო საბჭო აწყობს ბაზრის ფასების მომწესრიგებელ კომიტეტს, რომლის დანიშნულებაა მოაწესრიგოს ბაზრის ფასები საქონელზე მასზე მაგარი ფასების დაწესებით.

**ბაქოს პოლიტეხნიკუმი.**

**ბაქო,** 3 ნოემბ. მახლობელ დროში ბაქოში გაიხსნება პოლიტეხნიკუმი.

**საბერძნეთის პრესა რუსეთის შესახებ.**

**ბათუმი,** 31 ოქტომბერი. ათინის ბერძნული გაზ. „ნეა ელლას“ რუსეთზე შემდეგს სწერს:

„მოსკოვში, მიუხედავათ ქვეყნის მძიმე ეკონომიური მდგომარეობისა იბეჭდება და ვრცელდება ხალხში სხვა და სხვა დროის კლასიკები; საკონცერტო დარბაზებში ბეთხოვენის სიმფონებს ასრულებს 500 კაცისაგან შემდგარი გუნდი; პირველ მაისობას სოფოკლეს ტრაღედიებს დადგამენ..

**ახალი მარილის ქარხანა.**

**სტავროპოლი,** 30 ოქტ. სახალხო მეურნეობის საგუბერნიო საბჭო ქიმიური განყოფილება პტიჩენსკის მარილის ტბაზე მარილის ქარხნის აშენებას შეუდგა.

მუშაობა უკვე დაწყებულია, რამდენიმე ორმო გაკეთებულია. მუშაობა სწრაფად სწარმოებს.

# რევოლიუციის ფრონტებზე

**სამხედრო ოპერატიული ცნობა რესპუბლიკის რევოენსოვეტის მთავარ შტაბის, 2 ნოემბრის.**

**მოსკოვი,** 3 ნოემ. (რადიო). დასავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე სიწყნარეა.

## ყირიმის ფრონტი

ჩვენი შეტევა წარმატებით მიმდინარეობს. უკანასკნელ დღეების განმავლობაში წამოვიყვანეთ რამოდენიმე ათასი ტყვე. ანგარიში წარმოებს. ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა აიღო სად. სალკოვო და წამოიყვანა ტყვეთ მთელი გარნიზონი.

**ვრანგელის დახმარება**

**მოსკოვი,** 2 ნოემ (რადიო). ყირიმის ფრონტზე გამარჯვების გამო, გაზეთი „გუდოკი“-ი სწერს:

„საფრანგეთს და პოლონეთს იმედი ქონდათ, რომ ვრანგელი კიდევ დიდხანს გამაგრდებოდა, მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა. ნუ ვიდღესასწაულებთ წინასწარ, მაგრამ ჩვენი გამარჯვებები რომ იმედს გვაძლევს, რომ სამხრეთი რუსეთი გაუცინებს საფრანგეთს, როგორც უკრაინის თეთრმა კულაკებმა გაუცინეს ინგლისს იმიტომ, რომ, ინგლისის მიერ ნაყიდი პური ვრანგელისაგან, დაეხმარება რევოლიუციონურ პროლეტარიატს, და არა ინგლისის ბურჟუებს არც პოლონელების პანებს, რომლებიც არღვევენ ახლა რიგის ხელშეკრულებას რადგან იმედი აქვთ ვრანგელის გამაგრების მაგრამ არც ეს იმედი გამართლდა და ვრანგელის დამარცხება აჩვენებს მათ, რომ საჭირო გულწრფელად დაიცვან ხელშეკრულება თუ მათ არ უნდოდათ დროებითი ზავი დასვენებისათვის. სამხრეთის ფრონტის მსვლელობა დიდ გავლენას მოახდენს აღმოსავლეთზე.

**წითელი ფრონტის დახმარება**

**მოსკოვი,** 3 ნოემ. (რადიო). მთელ რესპუბლიკაში წარმატებით მიმდინარეობს ფრონტის საჭირო საგნების დაგროვება. ქარხნებში, ფაბრიკებში, წითელ არმიის ნაწილებში და სახელმწიფო დაწესებულებებში, აგროვებენ ნაწილს ჯამაგირებისას და საგნებს. გლეხები აღფრთოვანებით ეგებებიან წითელ ფრონტის დახმარებას. არ შეიძლება იმ ცნობების ჩამოთვლა, რომნლიც მოდის სხვ. და სხვა კუთხეებიდან საგნების დაგროვების შესახებ.

## რუმინიაში

**მოსკოვი,** 3 ნოემ. (რადიო). გაფიცვამ ტრანსილვანიაში მიიღო საერთო ხასიათი. მაღაროს მუშებმა სცადეს დაენგრიათ მაღაროს მანქანები.

## ბულგარეთში

**ბათომი,** 2 ნოემ. 10 სექტემბერს სოფიაში სინდიკატების მეთორმეტე კონგრესზე მრავალრიცხოვან ხალხის თანდასწრებით, დროებითი პროფეს. კავშირების საბჭოს წევრმა ამხ. გლებოვმა გააკეთა ფართო მოხსენება საბჭოთა რუსეთის მდგომარეობაზე, რის შემდეგ გამართეს ოვაციები საბჭოთა რუსეთის რუსტის რევოლიუციონერების და წითელ არმიის სახელზე. დიდის აღფრთოვანებით ეგებებოდენ ცნობას რუსეთის პროლეტარიატის სოციალისტურ აღმშენებლობისას და ბრძოლას თეთრ გვარდიელებთან და თეთრ პოლონეთთან.

**კომუნისტურ ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.**

**მოსკოვი,** 3 ნოემ. (რადიო). ნორვეგიის მუშათა პარტიამ მიიღო კომუნისტურ ინტერნაციონალის პირობები რევოლიუციონურ მუშაობის გასაძლიერებლათ.

**პოლონეთის გლეხებს ზავი უნდათ.**

**მოსკოვი,** 3 ნოემ. (რადიო). დანკოვში (პოლონეთი) გლეხთა მიტინგზე გამოიტანეს რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვენ საბჭოთა რუსეთთან დაუყოვნებლივ ზავის შეკვრას და პოლონეთის არმიის დემობილიზაციას. გლეხებმა მოითხოვეს პოლონეთის მთავრობისაგან, რათა დაუყოვნებლივ შეწყვიტონ პროლეტარების ლიდერების დევნა და გამოცხადებულ იქმნას საერთო ამნისტია პოლიტიკურ დამნაშავეებისათვის.

**ნახშირის მუშების გაფიცვა ინგლისში.**

**მოსკოვი,** 3 ნოემბ. (რადიო). ბევრ ნახშირის რაიონებში მუშები წინააღმდეგნი არიან იმ შეთანხმების, რომელიც მთავრობამ და კომიტეტმა ურთიერთშორის დასდო. ნახშირის მუშები მზათ არიან შეთანხმების წინააღმდეგ ხმა მისცენ. სილვია პანკერსტი დაატუსაღეს 6 თვის ვადით კომუნისტურ გაზეთში სტატიის მოთავსების გამო.

**საფრანგეთის პროლეტარიატის დახმარება.**

**მოსკოვი,** 3 ნოემბ. (რადიო). შრომის საერთო კონფედერაციამ დაადგინა მილიონ ზომები რუსეთის რევოლიუციის დასაცავად. 20 ოქტომბერს მოაწყვეს მიტინგები და მანიფესტაციები მთელ საფრანგეთში.

**შავ-რაზმელები და ვრანგელი.**

**მოსკოვი,** 2 ნოემ. (რადიო). „პრავდა“—მოწინავეში სწერს:

„პოლონეთთან ზავის ჩამოგდების შემდეგ ყველა შავრაზმელების ძალები ვრანგელის ირგვლივ იყრიან თავს. ბალახოვიჩის არმიას პოლიტიკურ ხელმძღვანელად ყავს ყოფილი ესერი სავინკოვი, ვრანგელის სამხრეთ არმიას ხელმძღვანელობს ცნობილი კლიმოვიჩი. სავინკოვმა გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც ის აცხადებს, რომ თეთრი არმია იბრძვის მშრომელ ხალხის მშვიდობიანობისა და მიწისათვის და დამფუძნებელ კრებისათვის. გენერალი ბალახოვიჩი იბრძვის გლეხთა თავისუფალ რუსეთისათვის. გენერლებმა და მემამულეებმა იციან, რომ ხალხს წყურია მშვიდობიანობა, ამისათვის ისინი გაჰყვიან დემოკრატიის სამოსელში და აწარმოებენ ვითომ ბრძოლას მშრომელების განსათავისუფლებლად; მემამულეების მგელმა გაიკეთა მელას კუდი, რომლის შემწეობით ის ცდილობს მიიმხროს გლეხები.

საზღვარ-გარეთის ანტიბოლშევიკური პრესა ნაწყენია მეფის მოხელის ვრანგელის მთავრობის მინისტრათ დანიშვნისა და უთითებს ვრანგელს, რომ კლიმოვიჩი მის ბედში ითამაშებს ბოროტის სულის როლს.

დღევანდელი დღის ამოცანაა დავაჩქაროთ ვრანგელის ლიკვიდაცია. მისმა კავშირმა კლიმოვიჩთან სავსებით დაუკარგა ნდობა მას მშრომელ მასებში. თეთრ ქვარდიელების გემი იღუპება დრაგომიროვის, მახროვის და კლემოვიჩის სიმძიმით, უნდა დავაჩქაროდ ამ გემის დაღუპვა და გამოვრეკოთ რუსეთიდან გენერლები და ყველა მეფის დამქაშები.

**პარტიზანული რაზმები.**

**ბაქო,** 2 ნოემ. ირანის კომუნისტურ პარტიის თავმჯდომარე იტყობინება: „სპარსეთში მოქმედებენ პარტიზანული რაზმები, რომლებიც აწარმოებენ სასტიკ ბრძოლას შაჰის მთავრობასთან. მეზერდევის რაიონში მოქმედებს 800 კაცისაგან შემდგარი რაზმი, სავატკის რაიონში პასერულ-ხანის 400 კაცისაგან შემდგარი რაზმი, ამ რაზმთან არის ირანის კომუნისტურ პარტიის კომისარი. კალეიზარის რაიონში თავმოყრილია რამდენიმე რაზმი 2000 კაცამდის, რომელსაც უდგას სათავეში სუფნა-მამალიკა, რომელიც დიდი სიმპატიით ეპყრობა საბჭოთა რუსეთს.

# საქართველოში

— **„მდგომარეობა პირდაპირ აუტანელია.“** „ახალი სხივი“ სწერს: „არსად ევროპაში არ არის ისეთი სიძვირე და პირველი მოთხოვნილების საგნების ფასი არსად ისე დაშორებული არაა მუშის ხელფასზე, როგორც ჩვენში. მდგომარეობა პირდაპირ აუტანელია... ზამთარი მოახლოვდა და მუშებს არ აქვთ სათბობი მასალა... მუშებს არ აქვთ რიგიანი სადგომი. ქალაქში ბევრი სახაზინო შენობაა ისეთი, რომლის შეკეთება თუ გადაკეთება შეიძლებოდა მუშების სადგომებისთვის.“

— **სამინისტრო ხორბლის მაგიერ მიწას აწვდიდა.** იგივე გაზეთი ეკითხება თბილისის გამგეობას: „რად არ ამოიღო გამგეობამ ხმა, თუნდაც მაშინ, როცა მას ცუდი ღირსების ხორბალს აწვდიდა სამინისტრო, რატომ ენერგიულათ არ მოითხოვა მიწის მაგიერ ხორბლის მიწოდება?“

— **მთავრობა და თვითმართველობა.** სურამის ქალაქის თვითმართველობას, მოქალაქე მონაშეროვის სახლში მოთავსებული აქვს სასადილო მოსამსახურეპირთა და ღარიბ მცხოვრებთათვის. ამ სასადილოში მრავალი ხელ მოკლე მოაგარაკე ღებულობდა სადილს. შენობა ქალაქს იძულებით ქონდა დაკავებული სამი წლის ვადით დამფუძნებელ კრების 11 ივლისის კანონის თანახმად. ქალაქის თვითმართველობამ თავისი დადგენილება მეორეჯერ გამოიტანა ამ წლის 24 მკათათვეს და კანონის თანახმად წარადგინა მთავრობაში, რომელმაც ის დაამტკიცა 3 აგვისტოს და დადგენილების შემოწმებული პირი ქალაქის თავს მისცა სასამართლოში წარსადგენათ. 11 ივლისის კანონით მთავრობას უკვე ნება არ ქონდა ამ დადგენილებას შეხებოდა, რადგან 11 ივლ. კანონის მე-4 მუხ. შენიშვნის ძალით მთავრობას მიცემული აქვს სამი კვირის ვადა, რომელ ვადაშიაც მან უნდა აცნობოს დაინტერესებულ თვითმართველობას, თუ მის დადგენილებას არ ეთანხმება. ასეთია კანონი. მაგრამ მამალაძის საქმით წათამამებულმა მონაშეროვმა სასამართლოს განაჩენს არ დაუცადა და პირდაპირ მთავრობას მიმართა თხოვნით, თუმცა ვიმეორებ მთავრობას ნება არ ქონდა ამ საქმეში ჩარეულიყო. მთავრობას მაინც დაუდგენია დააცლევინოს სურამს ბინა და უბრძანოს მას ორი კვირის განმავლობაში უკან ჩააბაროს ის მონამეროვს. კანონის ასეთმა დარღვევამ მთავრობის მხრივ ძალიან გააკვირვა ყველანი.

— **დამფუძნებელი კრების სხდომები.** დამფუძნებელი კრების სხდომები სამშაბათს ნოემბრის 9-ს განახლდება.

---

**„ვიმეორებ: სამშობლო ისტორიული კატეგორიაა, ე. ი წარმავალი თავისი არსებით. ტომის იდეამ ადგილი დაუთმო სამშობლოს იდეას; სამშობლოს ფარგალი ჯერ კიდევ საქალაქო თემის საზღვრებს არა სცილდებოდა,— მერე ეროვნულ საზღვრებამდე გაიწია. ახლა სამშობლოს იდეაც უკან უნდა ჩამოდგეს, კაცობრიობის იდეის წინაშე, რომელიც ბევრად უფრო ფართოა სამშობლოს იდეაზე;—ამის თავდებია იგივე ძალა. რომლის მეოხებითაც წარმოიშვა, რომლის ზეგავლენითაც იცვლებოდა პატრიოტული იდეა: ძალა ეკონომიური განვითარებისა“.**

**გ. პლეხანოვი. „პატრიოტიზმი და სოციალიზმი“. (გვერ. 9).**

# განცხადებანი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3, მეორე სართული, ტელ. 8—91.

ცენტრ. კომ. ბიურო ღიაა დილის 11—1 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

---

ს. კ. პ. თბილისის საგუბერნიო კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქუჩ. № 3, მეორე სართული. ტელ. 8—91.

ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე.

---

ს. კ. პ. თბ. პირველი რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩ., № 135.

ბიურო ღიაა საღ. 5—7 ნახ. საათამდე.

---

ს. კ. პ. თბ. მეორე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

ბიურო ღიაა დილის 10—12 სათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

---

ს. კ. პ. თბ. მესამე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია.

ბიურო ღიაა დილის 10—1 ნახ. საათამდე და საღამოს 5—7 ნახ. საათ.

---

ს. კ. პ. თბილისის მეოთხე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ), სადაც სწარმოებს ახალი წევრების ჩაწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია.

ბიურო ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე.

# საქართველოს კომუნისტურ ახალგაზრდობის ფურცელი

№ 11 № 11

**რუსეთის სოციალისტურმა წითელმა ჯარმა სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ევროპის იმპერიალიზმის დაქირავებულ ბარონ ვრანგელის შავ ბანდებს. მათ განადგურებასთან ერთად ჰქრება ევროპა-ამერიკის იმპერიალიზმის უკანასკნელი იმედები რუსეთის რევოლიუციის ჩაქრობისა.**

## გადამწყვეტი მომენტი

დიდი ამბების წინაშე სდგას დღეს კაცობრიობა, ისტორიის თხუნელა კარგათ მუშაობს; მან უკვე თითქმის სრულიათ გამოუთხარა ძირი კაპიტალიზმის შენობას, ისაც ზანზარებს და ლამის არის ხრამში გადაეშვას. უმაგალითო სამრეწველო-ფინანსიურმა და სასურსათო კრიზისმა, რომელიც დღითი დღიზრდება და ღრმავდება, აიძულა თვით ჩამორჩენილი და ზომიერათ განწყობილი მუშათა წრეები გამოსულიყვენ საბრძოლველათ. იმ ქაოსში, რომელსაც წარმოადგენს დღეს აბობოქრებული ევროპის მუშათა მოძრაობა, შეგვიძლია სამი ხაზი, სამი დამახასიათებელი მოვლენა აღმოვაჩინოთ: ოპორტუნიზმის, რეფორმიზმის სრული გაკოტრება, რევოლიუციონურ ძალთა ორგანიზაციულათ დარაზმვა—ჩამოყალიბება, იდეოლოგიურათ განწმენდა და გაჯანსაღება, ბურჟუაზიის ზნეობრივათ სრული გათახსირება, პოლიტიკურათ დაბნევა, გაშეშება. მოძრაობა ევროპაში დაწყებული ეკონომიური მოთხოვნებით წამოყენებით თანდათან რევოლიუციონურ პოლიტიკურ ხასიათს ღებულობს, შეიარაღებულ აჯანყების, რევოლიუციონურ ძალთა გამოცდისაკენ მიერეკება მუშათა კლასს, რასაკვირველია სხვა და სხვა ჯურის შემთანხმებლები და გამცემელნი, რომლებიც მეთაურობდენ მოძრაობას, სანამ ის საშიში არ იყო კაპიტალისთვის, ახლა იძულებულნი არიან ჩამოშორდენ რევოლიუციონურათ განწყობილ მუშებს ანდა მათ ძალით ერეკებიან: სათავეში მემარცხენე ელემენტები ექცევიან. მთელ ევროპაში სწარმოებს დღეს გახურებული პროცესი მუშათა რიგების მერყევ, გამცემელ ელემენტებისაგან განწმენდისა, მათგან გამოთიშვისა, გამოყოფისა. რევოლიუციის მომხრენი ირაზმებიან, ადგენენ მჭიდრო, ერთი აზრით, ერთი ნებით შეიარაღებულ ჯგუფებს, პარტიებს, კავშირებს. გერმანიის დამოუკიდებელ პარტიის (კონტინენტზე უძლიერესია) გათიშვა, განდევნა რევოლიუციასთან მებრძოლ მეთაურებისა, ამ პარტიის უმრავლესობის და კომუნისტური პარტიის, „სპარტაკის“ შეერთება დაარსება იტალიის კომუნისტურ პარტიისა, ძველი სოციალისტურ პარტიის ჭეშმარიტ რევოლიუციონურ ელემენტებისაგან, საფრანგეთის სოციალისტურ პარტიაში ჩირქ მოცხებული და მუშათა სისხლში გათხეპნილი ხელმძღვანელების გაძევების საკითხის დასმა, გენერალურ კონფედერაციის რევოლიუციონურ ჯგუფის გამოყოფა, ინგლისის მუშათა კლასის სათავეში თანდათანობითი მემარცხენე, რადიკალური, ახალი მეთაურების ჩადგომა—აი ყველა ეს ფაქტები აშკარათ დალადებენ იმ უზარმაზარ ორგანიზაციულ მუშაობაზე, რომელსაც ატარებს რევოლიუცია. პარტიათა და კავშირთა განწმენდა, იდეურათ გაბრწყინვა—მათ ერთად თავის მოყრა უძლეველ მესამე კომუნისტ. ინტერნაციონალის ქვეშ—ეს უტყუარი მაჩვენებელია რევოლიუციის ზრდა გამარჯვებისა. ბურჟუაზიის ბანაკში დაქუცმაცება, საერთო ფრონტის დარღვევა, ერთმანეთისადმი კბილის ღრჭენა, დაბნეული, ავანტიურისტული ნაბიჯები—აი სურათი გაკოტრების, გათახსიერების, დეზორგანიზაციის.

გადამწყვეტ, გენერალურ ომისთვის ემზადება ევროპის და მსოფლიო პროლეტარიატი. ჩვენ კი, საქართველოს ქაბუკ კომუნარები გავსწორდებით მსოფლიო რევოლიუციის ხაზზე და განვაგრძობთ ჩვენს ყოველდღიურ მუშაობას, ერთი შეხედვით უმნიშვნელოს, მაგრამ საქართველოს რევოლიუციისათვის აუცილებელს. მასებში რევოლიუციონურ დუღილის, ცეცხლის გაღვივება, მათი ორგანიზაციულათ დარაზმვა, ნათელი, მტკიცე შეგნებით შეიარაღება, რკინის დისციპლინით შებოჭვა—აი ჩვენი დღევანდელი მუშაობა—რომელსაც გვავალებს ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა. საერთაშორისო რევოლიუციის ინტერესი მწყობრ რაზმებით, აღფრთოვანებით მხიარულათ და შეგნებულათ წინ, ჭაბუკო გმირებო მუშაობა, ბრძოლა, გამარჯვებისაკენ!

დოლჩინო.

## საქართველოს ახალგაზრდა მუშების მდგომარეობის შესახებ

ერთ მთავარ მიზანს ჩვენი მუშაობისას შეადგენს ეკონომიურ-უფლებრივი ინტერესების დაცვა მშრომელი ახალგაზრდობისა. სამწუხაროთ გარეშე პირობები არ გვაძლევდა საშვალებას სათანადო ყურადღება მიგვექცია ამ დიდ მნიშვნელოვან დარგისთვის აქამდე. დღეს ეს კითხვა პრაქტიკულათ გადასაჭრელია და ამიტომ მინდა შევეხო მას, როგორც საერთოდ ისე კონკრეტიულათაც ჩვენი სინამდვილის მიხედვით.

ყველასათვის ცხადია და უდავოა, თუ რა აუტანელი მდგომარეობაა შექმნილი საქართველოს მუშათა კლასისა და კერძოთ და განსაკუთრებით მუშათა ახალგაზრდობისათვის. რვა და ათი საათის სამუშაო დღე, მცირე ხელფასი, თვითნებობა ადმინისტრაციისა და შეუგნებელ მოზრდილ მუშებისა, მუშაობა მძიმე და აუტანელ პირობებში, ცუდი ბინის პირობები, იძულებითი სპეკულიაცია—აი რა პირობებია შექმნილი დღევანდელ საქართველოს მუშათა ახალგაზრდობისათვის.

მომავალი თაობა სდგას ფიზიკური განადგურების წინ. ჩვენი ვალია როგორც მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის ორგანიზაციისა, სასტიკად ვიბრძოლოთ ეკონომიურ-უფლებრივი პირობების გასაუმჯობესებლათ ჩვენს „სოციალისტურ სამეფოში“. რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვოცნებობთ განხორციელებულ პროლეტარულ მოთხოვნილებებზე, რასაც უკვე აქვს ალაგი საბჭოთა რუსეთში, რის სისრულეში მოყვანა შეუძლია მხოლოთ განთავისუფლებულ პროლეტარიატის და ერთად ერთს მის დამცველ კომუნისტურ პარტიას.

მაგრამ ჩვენ მოვითხოვთ, რომ დაცულ იყოს სასიცოცხლო პირობები მაინც, რომ ახალგაზრდა მუშები არ იხოცებოდნენ უდროოდ და არ კარგავდენ უნარს და საშვალებას მუშაობისას. ცნობები, რომელიც ჩვენ ხელთ გვაქვს გვიჩვენებს, რომ ახალგაზრდა მუშები იმდენ დროსვე მუშაობენ, რამდენსაც მოზრდილი, იღებენ კი ნაკლებ ხელფასს. ჩვენი დღევანდელი საბრძოლველი ლოზუნგია ოთხსა და ექვსი საათის მუშაობა ახალგაზრდებისათვის. მომავალი თაობის ინტერესები, თვით მუშები მოითხოვენ ამ ლოზუნგის ცხოვრებაში გატარებას.

მცირე დაკვირვება, ერთი გადახედვაც გვიჩვენებს, რომ არაფერი არ გაკეთებულა ახალგაზრდა მუშებისათვის ჩვენი მენშევიკების მიერ, ყველაფერი მომავალშია ბრძოლით მოსაპოებელი. ახალგაზრდა მუშები ყველაფერს მოიპოვებენ რევოლიუციონური გზით, უკანასკნელ შეძლებას კი მარტო ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი იძლევა.

მეგობარი.

**ძირს ჯალათნო და მოღალატენო! დგება პროლეტარული დიქტატურის მე-4-ხე წელი.**

## კომუნისტურ ახალგაზრდობის მოძრაობა.

### იაპონია.

იაპონიის ახალგაზრდობის კავშირმა გადასწყვიტა, დაუყოვნებლივ შეუდგეს აგიტაციას დღევანდელ მთავრობის ჩამოსაგდებათ და საყოველთაო საარჩევნო უფლების მოსაპოებლათ. ეწყობა მიტინგები, პროვინციაში დაგზავნილია აგიტატორები ახალ არჩევნების ჩასატარებლათ.

### ფინლიანდია.

ახალგაზრდობის ორგანიზაცია უწინ ძლიერ ღონიერი იყო, მაგრამ სამოქალაქო ომის დროს ის ძლიერ დაზარალდა. ახლა, მიუხედავათ თეთრ ტერორისა, ის იწყებს ხელახლა განცხოველებას და მუშაობს. ის აერთებს 13,000 ჭაბუკ კომუნარებს. ჯგუფებს შორის ატყდა დიდი შეხლა შემოხლა ახალგაზრდობის ინტერნაციონალის შეერთების გულისთვის, მაგრამ მთელ ქვეყანაში კენჭის ყრის შემდეგ მთელი ორგანიზაცია შევიდა ინტერნაციონალში.

### სამხრეთ-სლავია.

სამხრეთ სლავიაში (Юго-Славия) გარკვეულათ კომუნისტური ორგანიზაციაა. რომელიც აერთებს 5,000 წევრს. გამოდის ორკვირეული გაზეთი: წითელი დროშა. კავშირი შევიდა ახალგაზრდობის ინტერნაციონალში რევოლიუციონურ მუშაობისთვის კავშირის გამოჩენილი მოღვაწენი სხედან საპყრობილეში.

### საბერძნეთი.

რამოდენიმე პროლეტარულ ახალგაზრდობის ორგანიზაციაში ირიცხება 1,700 წევრი. კავშირი მუშაობს თანახმათ ახალგაზრდობის ინტერნაციონალის პლატფორმისა.

**ამ. კომუნისტური კავშირი—ეს ცოდნის ჩირაღდენია.**

## ჩვენს კავშირში.

### ქუთაისი.

ქუთაისის ახალგაზრდა მუშათა და გლეხთა კომუნისტური კავშირის ორგანიზაციაში, მუშაობა გაჩაღებულად სწარმოებს. არის სულ 7 იაჩეიკა, რომელშიაც ითვლება 80 წევრი. მუშაობა იაჩეიკებში სისტემატიურად სწარმოებს. მოხსენებები ჯერ-ჯერობით გაკეთებულ იქნა, მხოლოდ აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობაზე, და მის მნიშვნელობაზე და მომენტზე. იაჩეიკებში სამუშაოთ გამომუშავებულია პროგრამა. შემოღებულია ინსტრუქტორული სისტემა. ქალაქის კომიტეტის მიერ იქნა შედგენილი ორგანიზატორთა საბჭო, რომელიც განაგებს იაჩეიკებს, ამ ორგანიზატორთა საბჭოს მოვალეობაა განამტკიცოს მტკიცე დისციპლინა იაჩეიკებში.

აგრეთვე ქუთაისის ორგანიზაციაში დაარსდა საგ. ბიუროს მიერ საპროპაგანდო კოლეგია, რომელიც შესდგება აქტიური ამხანაგებისაგან. ამ კოლეგიას ევალება გამათვითცნობიერებული მუშაობა აწარმოოს, როგორც ადგილობრივ ორგანიზაციაში, ისე პროვინციებში, კოლეგიისთვის გამომუშავებულია ვრცელი პროგრამა, რომლის შესწავლას კოლეგია შეუდგა.

ახალგაზრდა მუშათა და გლეხთა კომუნისტური კავშირის, ქუთაისის ორგანიზაციის, მე-3 და მე-7 იაჩეიკის კრება მოხდა 31 აგვისტოს დღიურ წესრიგში შემუშავებულ იქნა შემდეგი:

1. მოხსენება მომენტზე.
2. დისციპლინა.
3. გაზ. „ახ. კომუნისტის“ გამოწერა.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. კ. რომელმაც ყოველ მხრივ გააშუქა მომენტი. რომლისგანაც ყველა იაჩეიკის წევრები დაკმაყოფილდენ.

მეორე საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა იმავე ლექტორმა, რომელმაც გააცნო ამხანაგებს დისციპლინა და ახსნა მისი მნიშვნელობა ყოველ წევრს.

მესამე საკითხის შესახებ იქნა გამოტანილი შემდეგი რეზოლიუცია, რომ დაევალოს ყველა წევრს, რათა გამოიწერონ გაზ. „ახ. კომუნისტი“ რომელიც არის დამცველი მშრომელი მასსისა და აღმოუჩინონ მას ნივთიერი და ზნეობრივი დახმარება. ყველა წევრების მიერ იქმნას გამოწერილი გაზ ახ. „კომუნისტი“ და რამოდენიმესაგან „Коммунист Грузии“.

**გავამაგროთ დისციპლინა, გავაღრმავოთ სიმტკიცე და შეგნება—ის მოგვცემს ჩვენ გამარჯვებას.**

## ჩვენი კორესპონდენცია.

### რა არის საჭირო.

ჩვენი კავშირი საქართველოში საკმაოთ ძლიერია სხვა ახალგაზრდა ორგანიზაციებთან შედარებით, რომლებიც არავითარ შევიწროებას არ განიცდიან. ჩვენ დღითი დღე ვძლიერდებით, ახალგაზრდათა მასსიურ ორგანიზაციათ ვხდებით, ჩვენ გიგანტიური ნაბიჯი გადავდგით წინ, როგორიც იყო ჩვენი ყრილობის მოწვევა, რომლის დამთავრება ჯალათებმა არ დაგვაცალეს, მაგრამ ნაკლი მაინც გვაქვს აუცილებლად, ამას ჩვენ არ დავფარავთ ფაქტის წინაშე თვალებს არ დავხუჭავთ. მორიგი ამოცანა ჩვენც გვაქვს გადასაწყვეტი, რომლის ერთი უპირველეს საკითხთაგანს უნდა შეადგენდეს: „კულტურულ განმანათლებელი“ მუშაობის გაღვიძება ჩვენს კავშირში.

თუ ყველგან არა, ზოგ ადგილებში მაინც ჩვენს კავშირს აკლია ცხოველი ენერგია, უნდა ითქვას აგრეთვე, რომ ჩვენს ზოგ ამხანაგებში გამეფებულია გულცივობა ორგანიზაციისადმი მოპყრობაში, მიუხედავათ იმისა, რომ ისინი ვალდებული არიან მთელი თავისი ენერგია ორგანიზაციულ მუშაობას შესწირონ, ჩვენ ვხედავთ: დაუდევრობას, სიზარმაცეს, სულიერ დაცემას სენტიმენტალობას, და სხვა ასეთებს—ამას ბოლო უნდა მოეღოს.

ამ მოვლენას აქვს თავისი მიზეზები. „პადპოლიეში“ უფრო სიცოცხლე ეტყობოდა ჩვენს კავშირს ვიდრე „ლეგალიზაციის დროს. რატომ?

ლეგალიზაციისაგან ჩვენ ძალიან ბევრს მოველოდით. ჩვენ ამ დროს თავისუფლება უნდა გვქონოდა: კრებების ბიუროების დაარსების ორგანიზაციული პროპაგანდის ახალგაზრდა მუშებში და გლეხებში ჩვენს ამხანაგებს ნება უნდა ჰქონოდათ თავისი ორგანიზაციული მუშაობა გადაეტანათ ფართო მასსაში, ჩვენ ჩვენი მიზნების ახსნა-განმარტების უფლება უნდა გვქონოდა ფართო მასსისათვის, რომ გაგვეფანტა ის ბურუსი და ის ყალბი წარმოდგენა ჩვენზე, რომელსაც ქმნიდენ ქართველი ყველა ჯურის ნაციონალისტური პარტიები, ჩვენი ჰერქვეშ ყოფნის დროს.

მაგრამ როდესაც კავშირი დაეწაფა მასსის გათვითცნობიერებას, როდესაც ის ახალ ნაბიჯებს სდგამდა ახალგაზრდათა მასსაში. აი სწორედ ამ დროს დაიწყო რეპრესიები. ჩვენი ამხანაგები ხედავდენ ბიუროების დახურვას. ამხანაგების დატყვევებას: სამეგრელოში, სოხუმში, ლეჩხუმში, თბილისში, გურიაში და სხვა.

ამ გაშმაგებულმა დევნამ ოდნავ შეასუსტა, დროებით შეაფერხა ჩვენი მუშაობა; სუსტი, მერყევი, სულმდაბალი ელემენტები ჩამოშორდენ ჩვენ დროშას და კიდევაც კარგი ქმნეს: კომუნისტური კავშირი ეს ბრძოლის კავშირია, მას ესაჭიროება მხნე, თავდადებული, შეგნებით და დისციპლინით აღჭურვილი ძალები.

ასეთი გაურკვეველი მდგომარეობა, არც ლეგალიზაცია, არც პოდპოლიე და კიდევ სხვა მიზეზები იყო და არის, რომ ჩვენი ორგანიზაციები ვერ დგანან თავის დონეზე.

ერთი მიზეზთაგანი ამის იყო ის, რომ ჩვენი კავშირის ორგანიზაციები ნამეტანი ნორჩი იყო ისინი ის იყო მაშინ გამოდიოდენ სამოქმედო ასპარეზზე. ჩვენს ამხანაგებზე, მუშაობა შეუჩვევლებზე, გაუწრთვნელებზე, გამოუცდელებზე და შემდეგ სუსტი ბუნების მქონეებზე, რა თქმა უნდა დიდ გავლენას მოახდენდა უსინდისო რეპრესიები.

ეს იმიტომ მოხთა რომ ჩვენ არ გვაქვს მოწყობილი აპარატი, რომ კულტურული და განმანათლებელი მუშაობა გვეწარმოებია. ორგანიზაციებისთვის ჩვენ ყოველთვის უნდა მიგვეწოდებია „გამათვითცნობიერებელი“ ძალები. ჩვენ დისციპლინაც გვაკლია და თუ გვინდა ორგანიზაციებში შევქმნათ ძლიერი აპარატი, უნდა განვამტკიცოთ დისციპლინა. მაგრამ ამ მიზანს მაშინ უფრო მივაღწევთ, როდესაც ფეხზე დავაყენებთ ჩვენს ორგანიზაციებს, როდესაც გამოვაღვიძებთ მათ, როდესაც ბრძოლის სულს ჩავბერავთ ამხანაგებს. ეს კი მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ ჩვენ ახლავე მოვკიდებთ ხელს მათ გათვითცნობიერებისთვის მუშაობას **კულტურულ-განმანათლებელი** მუშაობა, აი რა არის საჭირო.

ყოველი ცენტრი, სამაზრო იქნება, თუ საგუბერნიო ვალდებულია შეადგინოს საპროპაგანდო კოლეგიები. მისი მიზან-დანიშნულება იქნება პროპაგანდის გაწევა ჩვენს ახალგაზრდებში, როგორც სოფლებში ისე დაბებში. ყველა საჭირბოროტო საკითხებზე (როგორიც არის, მომენტი, ჩვენი კავშირის მნიშვნელობა ახალგაზრდობისთვის), კოლეგია უნდა აძლევდეს განმარტებას ჩვენს ამხანაგებს.

იმ დროს როდესაც ბურჟუაზიული ახალგაზდობა ფილოსოფიით ირთობს თავს კლუბებში. ჩვენს პროვინციელ ამხანაგებს მომენტზე მოხსენების მოსმენაც ენატრებათ. ჩვენ არ მივყოფთ ხელს ფილოსოფიით განვითარებას ჩვენი ამხანაგებისას, რადგანაც ამისთვის ახლა დრო არ გვაქვს ჩვენ ვახდენთ ახალგაზრდობის დარაზმვას რევოლიუციონურ დროშის ქვეშ და რომ ეს შევძლოთ უნდა მივყოთ ხელი მათ გათვითცნობიერებას. ჩვენმა ამხანაგმა გლეხმა უნდა იცოდეს, რას წარმოადგენს! მსოფლიო რევოლიუციონური ქარტეხილი, რომელიც აზანზარებს ბურჟუაზიულ მსოფლიოს, მას წარმოდგენა უნდა ქონდეს მესამე ინტერნაციონალზე, ამ მსოფლიო რევოლიუციის სამხედრო შტაბზე, ახალგაზდა მუშათა და გლეხთა კომუნისტურ კავშირზე და მის მიზან დანიშნულებაზე. ჩვენმა ამხანაგმა უნდა იცოდეს რა არის დიქტატურა მუშათა და გლეხთა და რა არის მენშევიკების „დემოკრატია“. ჩვენმა ამხანაგებმა ახალგაზრდა ხელებ დაკოჟილმა მუშებმა და გლეხებმა უნდა იცოდენ გარკვევით ვინ არიან მათი ისტორიული მტრები: ამის შემდეგ ადგილი არ ექნება ჩვენს ორგანიზაციებში იმას, რასაც ქონდა დღემდი მაშინ ჩვენს ამხანაგებს ოდნავადაც ვერ შეუცვლის ხასიათს ვერც რეპრესიები და ვერც პროვოკაცია. ჩვენ ასეთ გაურკვეველ მდგომარეობას მალე ბოლო მოეღება და ჩვენ დაგვჭირდება დიდი ენერგია კულტურულ განმანათლებელ მუშაობისთვის. ამიტომ საჭიროა ახლავე შევქმნათ სამისო აპარატები უნდა მოვაწყოთ აუცილებლათ დამხმარე წრეები, რომლებსაც ეწოდება საპარლამენტო კოლეგიები, კოლეგია იქნება ერთგვარი, რომელმაც უნდა შეასრულოს მასზე დავალებული დიდი და საყურადღებო მისია. ორგანიზაციებისთვის აუცილებელია მტკიცე ცენტრალური აპარატი, რომელიც უნდა ხასიათდებოდეს მკაცრი დისციპლინით, ისე ორგანიზაცია და კავშირი არაფერს წარმოადგენს. და რომ ასე მოეწყოს ორგანიზაცია საჭიროა ჯერ მისი გაღვიძება, მასში, რევოლიუციონური სულის ჩაბერვა. ორგანიზაციები ფეხზე უნდა დადგენ.

ორგანიზაციები უნდა გამოვაცოცხლოთ. სადაც ეს საჭიროა.

ენერგიული მუშაობა აი რა არის კიდევ და კიდევ საჭირო!

ბ. ივანოვი.

## ჩვენი ფოსტა.

**ბ. ივანოვს.** წერილი შინაარსიდაც და ფორმითაც მშვენიერია. საუბედუროთ უადგილობა გვაიძულებს დაიბექდოს შემოკლებით. მომავალში სწერეთ მოკლეთ და მკაფიოთ—ასეა საჭირო „ფურცლისათვის“.

**თბილისის გუბ. ორგანიზაციებს.** გამოგზავნეთ კორესპონდენციები.

**გურიის ამხანაგებს.** გამოგზავნეთ კორესპონდენციები, წერილები, ლექსები, ფელეტონები.

დრ. რედაქტორი: ლ. სუხიშვილი.

სტამბა „ეკონომია“ დიდი ვანქის ქ. № 3.